შეთანხმება №14/02-217/119ც

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-217 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

12 აპრილი, 2017 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის, **ნინო ინწკირველის** სახით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **მონაცემთა გაცვლის სააგენტო** (შემდგომში - მონაცემთა გაცვლის სააგენტო), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის, **ირაკლი გვენეტაძის** სახით, **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ვალერი კვარაცხელიას** სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **თამაზ მოდებაძის** სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-217 ხელშეკრულების 10.2 პუნქტისა და მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 12 აპრილის №04/23084 (სააგენტოში რეგისტრაციის №66099, 12.04.2017წ.) წერილის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

შეთანხმების საგანია მხარეთა შორის 2014 წლის 23 დეკემბერს დადებული №14/02-217 ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, მასში ცვლილების შეტანა.

მუხლი 2. ცვლილება ხელშეკრულებაში

ხელშეკრულების 10.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2014 წლის 23 დეკემბრიდან და ძალაშია 2018 წლის 22 აპრილის ჩათვლით.“.

მუხლი 3. დამატებითი პირობები

3.1 წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხ) ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

3.2 შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3.3 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

3.4 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები

4.1 სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ – მის.: ქ. თბილისი, 0154, აკ. წერეთლის გამზირი №67ა, ს/კოდი 202307404.

4.2 სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ – მის.: ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის №2, ს/კოდი 204577699.

4.3 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – მის.: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 211333957.

4.4 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ - მის.: თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 202178927.

ნინო ინწკირველი	ირაკლი გვენეტაძე	ვალერი კვარაცხელია	თამაზ მოდებაძე